საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება“

მისაღები გამოცდების/შემოქმედებითი ტურების მოთხოვნები

სპეციალობა - „საორკესტრო ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები“

შემოქმედებითი ტურები:

1. სპეციალობა;

2. მუსიკის თეორია:

სოლფეჯიო – სმენითი ანალიზი (წერა),

აბიტურიენტის ცოდნა თითოეულ ტურში ფასდება ასქულიანი (100) სისტემით; დადებითი შეფასებაა 51-100.

1.სპეციალობა

აბიტურიენტმა უნდა შეასრულოს:

1. გამები, სამხმოვანებები, დომინანტსეპტაკორდი ყველა ტონალობაში;
2. ხუთი განსხვავებული ხასიათის ეტიუდი (ნოტებით);
3. დიდი ფორმის ნაწარმოების პირველი, ან მეორე და მესამე ნაწილები;
4. ორი განსხვავებული ხასიათის პიესა.

(ჩასაბერ საკრავებზე საგამოცდო ნაწარმოებები /გარდა ეტიუდებისა/ სრულდება ზეპირად, გამონაკლისს წარმოადგენს XX ს. მეორე ნახევრის - XXI ს. ნაწარმოებები რომელთა შესრულებაც ზეპირად არ არის სავალდებულო)

2.მუსიკის თეორია:

აბიტურიენტებმა სმენითი ანალიზი უნდა ჩაწეროს აუდიოჩანაწერის (ფორტეპიანოზე შესრულებული) მიხედვით

სმენითი ანალიზი

1. კილო: სამი სახის მაჟორი; სამი სახის მინორი; ორმაგად ჰარმონიული მაჟორი და მინორი; მაჟორული და მინორული პენტატონიკა; დიატონური კილოები (მიქსოლიდიური, ლიდიური, ფრიგიული, დორიული). (გამოცდაზე შესრულდება 7 კილო, თითოეული დაიკვრება 3-ჯერ)
2. ინტერვალი: მარტივი და შედგენილი ყველა წმინდა, დიდი და პატარა, გადიდებული და შემცირებული (+4:-5:-4:+5:+2:-7:-3:+6) გადაწყვეტით. (გამოცდაზე შესრულდება 7 ინტერვალი, თითოეული დაიკვრება 3-ჯერ)
3. აკორდი (მჭიდრო და ფართო განლაგებით): სამხმოვანება - მაჟორული, მინორული და შემცირებული შებრუნებებით, გადიდებული მხოლოდ ძირითადი სახის. სეპტაკორდი - მცირე მაჟორული, მცირე მინორული, მცირე შემცირებული, შებრუნებებით, შემცირებული, მცირე მაჟორული სექსტით (მაჟორში). ნონაკორდი მაჟორული - დიდი და პატარა. აკორდები იკვრება გადაწყვეტის გარეშე. (გამოცდაზე შესრულდება 7 აკორდი, თითოეული დაიკვრება 3-ჯერ)
4. ერთტონალური აკორდული თანმიმდევრობა (შედგენილი), რომელშიც შევა ჰარმონიის კურსის პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები. (იკვრება 3-ჯერ)